

შეთანხმება საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ

საქართველო და სომხეთის რესპუბლიკა, შემდგომში წოდებულნი როგორც „ხელშემკვრელი მხარეები“,

გამოთქვამენ რა მზადყოფნას, გააძლიერონ თანამშრომლობა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ უფრო ეფექტურად ბრძოლის მიზნით,

სურთ რა წინამდებარე შეთანხმების საშუალებით და ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე შეიმუშაონ სწრაფი და ეფექტური პროცედურები იმ პირთა იდენტიფიცირებისა და უსაფრთხო და ორგანიზებული, მოწესრიგებული დაბრუნების მიზნით, რომლებიც ვერ ან ვეღარ აკმაყოფილებენ საქართველოს ან სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის ან ცხოვრებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, და ხელი შეუწყონ ასეთ პირთა ტრანზიტს თანამშრომლობის სულისკვეთებიდან გამომდინარე,

ხაზგასმით აღნიშნავენ რა, რომ წინამდებარე შეთანხმება არ ზღუდავს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის იმ უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლიდან და კერძოდ, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპის კონვენციიდან და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის 28 ივლისის კონვენციიდან, რომელიც შესწორებულია 1967 წლის 31 იანვრის ოქმით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 განსაზღვრებები

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის წინამდებარე შეთანხმებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

a) „მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე“ ნიშნავს ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც მოთხოვნით მიმართავს მეორე ხელშემკვრელ მხარეს იმ პირის რეადმისიასთან დაკავშირებით, რომელიც უნებართვოდ იმყოფება მისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

b) „მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე“ ნიშნავს ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც იღებს მოთხოვნას მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარისაგან

იმ პირის რეადმისიასთან დაკავშირებით, რომელიც უნებართვოდ იმყოფება მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

ც) „უცხოელი“ ნიშნავს ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნებართვოდ მცხოვრებ ნებისმიერ პირს, რომელსაც გააჩნია ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეობა, გარდა საქართველოს ან სომხეთის რესპუბლიკის, ან მოქალაქეობის არმქონე პირს;

დ) „ბინადრობის ნებართვა“ ნიშნავს საქართველოს ან სომხეთის რესპუბლიკის მიერ გაცემულ ნებისმიერი სახის ნებართვას, რომელიც პირს აძლევს მისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრების უფლებას. იგი არ გულისხმობს პირისთვის გაცემულ დროებით ნებართვებს, რომლებიც ითვალისწინებს პირის ყოფნას მისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავშესაფრის ან ბინადრობის ნებართვის მისაღებად შეტანილი განაცხადის განხილვასთან დაკავშირებით.

ე) „ვიზა“ ნიშნავს საქართველოს ან სომხეთის რესპუბლიკის მიერ გაცემულ ნებართვას ან მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც აუცილებელია მისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესასვლელად ან ამ ტერიტორიების ტრანზიტით გასასვლელად.

ფ) „ტრანზიტი“ ნიშნავს უცხოელის მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის გადაადგილებას მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოდან დანიშნულების სახელმწიფომდე მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით.

გ) კომპეტენტური ორგანოები წარმოადგენენ ხელშემკვრელი სახელმწიფოების იმ ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ რეადმისიისა და ტრანზიტის პროცედურებს.

მუხლი 2

შეთანხმების საგანი

ხელშემკვრელი მხარეები ითანამშრომლებენ რეადმისიის სფეროში წინამდებარე შეთანხმების, სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

მუხლი 2.3

საკუთარ მოქალაქეთა რეადმისია

(1) თითოეული ხელშემკვრელი მხარე მეორე ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით და ფორმალობების გარეშე, გარდა წინამდებარე შეთანხმებაში მითითებულისა, განახორციელებს ნებისმიერი იმ პირის რეადმისიას, რომელიც არ ან აღარ აკმაყოფილებს მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის ან ცხოვრებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, იმ

პირობით, თუ წინამდებარე შეთანხმების განხორციელების თაობაზე ოქმის შესაბამისად დამტკიცდება ან ივარაუდება, რომ ამ პირს გააჩნია მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეობა. იგივე ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც დაკარგეს მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეობა მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის შემდგომ.

(2) რეადმისიის განაცხადთან დაკავშირებით მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური დიპლომატიური მისია ან საკონსულო სამსახური, რეადმისიას დაქვემდებარებული პირის სურვილის მიუხედავად, დაუყოვნებლივ და არაუმეტეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში, გასცემს რეადმისიას დაქვემდებარებული პირის დაბრუნებისთვის აუცილებელ სამგზავრო დოკუმენტს, რომელსაც გააჩნია 90 დღიანი მოქმედების ვადა.

(3) მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე განახორციელებს ასეთი პირის რეადმისიას კვლავ თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმავე პირობებით, თუ მოგვიანებით დადასტურდება, რომ რეადმისიის განხორციელებისას აღნიშნულ პირი არ აკმაყოფილებდა წინამდებარე შეთანხმებით დადგენილ პირობებს.

მუხლი 34 უცხოელთა რეადმისია

(1) თითოეული ხელშემკვრელი მხარე მეორე ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით და ფორმალობების გარეშე, გარდა წინამდებარე შეთანხმებაში მითითებულისა, განახორციელებს ნებისმიერი იმ უცხოელის რეადმისიას, რომელიც არ ან აღარ აკმაყოფილებს მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის ან ცხოვრებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, იმ პირობით, თუ წინამდებარე შეთანხმების განხორციელების თაობაზე ოქმის შესაბამისად დამტკიცდება ან ივარაუდება, რომ a) ეს პირი რეადმისიის განაცხადის წარდგენის დროს ფლობდა მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის მიერ გაცემულ მოქმედ ვიზას ან ბინადრობის ნებართვას. b) ეს პირი მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე უკანონოდ და პირდაპირ შევიდა მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე დარჩენის ან მისი ტრანზიტით გავლის შემდგომ.

(2) მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე განახორციელებს ასეთი პირის რეადმისიას კვლავ თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმავე პირობებით, თუ მოგვიანებით დადასტურდება, რომ რეადმისიის განხორციელებისას აღნიშნულ პირი არ აკმაყოფილებდა წინამდებარე შეთანხმებით დადგენილ პირობებს.

მუხლი 45 ვადები

(1) რეადმისიის განაცხადი უნდა წარედგინოს მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს მაქსიმუმ 9 თვის განმავლობაში მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ იმის შეტყობიდან, რომ უცხოელი აღარ აკმაყოფილებს შესვლის, დარჩენის ან ბინადრობის ძალაში მყოფ მოთხოვნებს. მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი და ფაქტობრივი დაბრკოლებები განაცხადის დროულად წარდგენასთან დაკავშირებით, მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია ვადის გაგრძელება დაბრკოლების აღმოფხვრამდე.

(4)(2) რეადმისიის განაცხადს პასუხი უნდა გაეცეს წერილობით 30 დღის განმავლობაში.

(2)(3) ვადის ათვლა დაიწყება რეადმისიის განაცხადის მიღების დღიდან. აღნიშნული ვადის ფარგლებში პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, რეადმისიის განაცხადი ჩაითვლება შეთანხმებულად.

(3)(4) რეადმისიის განაცხადზე უარის მიზეზები დასაბუთებულ უნდა იქნეს წერილობით.

(4)(5) თანხმობის მიცემის შემდეგ, ან, საჭიროების შემთხვევაში, პირველ პუნქტში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, პირის გადაცემა განხორციელდება სამი თვის ვადაში. მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით, აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს იმ პერიოდით, რომელიც საჭიროა იურიდიული ან პრაქტიკული სახის დაბრკოლებათა აღმოსაფხვრელად.

მუხლი 56 **ტრანზიტი**

(1) ხელშემკვრელმა მხარეებმა ~~უცხოელების~~ ტრანზიტი უნდა შემოფარგლონ მხოლოდ იმ შემთხვევებით, როდესაც შეუძლებელია ასეთ პირთა პირდაპირ დაბრუნება დანიშნულების სახელმწიფოში და თუ გარანტირებულია შესვლა ტრანზიტის სხვა შესაძლო სახელმწიფოებში და რეადმისია საბოლოო დანიშნულების სახელმწიფოს მიერ.

(2) ხელშემკვრელმა მხარეებმა შესაძლოა უარი თქვან ~~უცხოელთა~~ ტრანზიტზე:

- თუ უცხოელს ემუქრება წამების, ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან სასჯელის, ან სასიკვდილო განაჩენის, ან რასობრივი წარმოშობის, რელიგიური მრწამსის, ეროვნების, კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნის რეალური საფრთხე დანიშნულების სახელმწიფოში ან ტრანზიტის სხვა სახელმწიფოში; ან
- თუ უცხოელი დაექვემდებარება სისხლის სამართლებრივ სანქციებს მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოში ან ტრანზიტის სხვა სახელმწიფოში; ან
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ან მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის სხვა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

(3) ხელშემკვრელმა მხარეებმა შეიძლება გააუქმონ ნებისმიერი გაცემული ნებართვა, თუ შემდგომში წარმოიშობა ან გაირკვევა მე-2 პუნქტში მითითებული ისეთი გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის სატრანზიტო ოპერაციის განხორციელებას, ან თუ გარანტირებული აღარ არის მგზავრობის გაგრძელება ტრანზიტის შესაძლო სახელმწიფოებში ან რეადმისია საბოლოო დანიშნულების სახელმწიფოში. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე უკან დააბრუნებს უცხოელს, არსებული აუცილებლობიდან გამომდინარე და გაჭიანურების გარეშე.

(4) სატრანზიტო ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი განაცხადი უნდა წარედგინოს მოთხოვნის მიმღებ ხელშემკვრელ მხარეს წერილობით და იგი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- a) ტრანზიტის ტიპი (საჰაერო ან სახმელეთო), ტრანზიტის სხვა შესაძლო სახელმწიფოები და საბოლოო დანიშნულების სახელმწიფო;
- b) ცნობები მოცემული პირის შესახებ (მაგ., სახელი, გვარი, ქალიშვილობის გვარი, სხვა სახელები ან მეტსახელები, რომელთაც იყენებს, რომლებითაც ცნობილია, დაბადების თარიღი, სქესი და, თუ შესაძლებელია, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა, ენა, სამგზავრო დოკუმენტის ტიპი და ნომერი);
- c) განსაზღვრული შესვლის პუნქტი, გადაცემის დრო და შესაძლო თანხლება.

(5) მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია განაცხადის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარეს თავისი თანხმობა შეშვებასთან დაკავშირებით, შესვლის პუნქტისა და შეშვების განსაზღვრული დროის დადასტურებით, ან აცნობოს შეშვებაზე უარისა და ამგვარი უარის მიზეზების თაობაზე.

(6) თუ სატრანზიტო ოპერაცია ხორციელდება საჰაერო გზით, გადასაცემი პირი და შესაძლო თანმხლები პირები თავისუფლდებიან აეროპორტის სატრანზიტო ვიზის აღების ვალდებულებისგან.

(7) მოთხოვნის მიმღებმა ხელშემკვრელმა მხარემ, ორმხრივი კონსულტაციების საფუძველზე, ხელი უნდა შეუწყოს სატრანზიტო ოპერაციების განხორციელებას, კერძოდ, მოცემულ პირებზე ზედამხედველობის განხორციელებისა და ამ მიზნით შესაბამისი პირობების უზრუნველყოფის გზით.

(8) პირების ტრანზიტი უნდა განხორციელდეს განაცხადზე თანხმობის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

მუხლი 67 მონაცემთა დაცვა

პერსონალურ მონაცემთა გადაცემა უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადაცემა აუცილებელია საქართველოს ან სომხეთის რესპუბლიკის მიერ წინამდებარე შეთანხმების განხორციელების მიზნით. კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და დაცვა უნდა განხორციელდეს ხელშემკვრელი მხარეების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად. დამატებით გამოიყენება შემდეგი პრინციპები:

a) პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უნდა მოხდეს სამართლიანი და კანონიერი გზით;

b) პერსონალურ მონაცემთა შეგროვება უნდა განხორციელდეს წინამდებარე შეთანხმების განხორციელების კონკრეტული, მკაფიოდ გამოხატული და ლეგიტიმური მიზნით და შემდგომში არ უნდა დამუშავდეს ამ მიზნისთვის შეუთავსებელი გზით არც გადამცემი ორგანოს და არც მიმღები ორგანოს მიერ;

c) პერსონალური მონაცემები უნდა იყოს ადეკვატური, შესაბამისი და არ სცდებოდეს იმ მიზანს, რისთვისაც მოხდა მათი შეგროვება და/ან შემდგომი დამუშავება; კერძოდ, გადამცემული პერსონალური მონაცემები შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ შემდეგს:

(i) ცნობები მოცემული პირის შესახებ (მაგ., სახელი, გვარი, ქალიშვილობის გვარი, სხვა სახელები ან მეტსახელები, რომელთაც იყენებს, რომლებითაც ცნობილია, დაბადების თარიღი, სქესი და, თუ შესაძლებელია, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა, ენა, სამგზავრო დოკუმენტის ტიპი და ნომერი);

(ii) პასპორტი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან მართვის მოწმობა (ნომერი, მოქმედების ვადა, გაცემის თარიღი, გამცემი ორგანო და გაცემის ადგილი);

(iii) გასაჩერებელი ადგილები და მარშრუტები;

(iv) სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გადასაცემი პირის ვინაობის დადგენისათვის ან წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული რეაქციის მოთხოვნების შემოწმებისთვის;

d) პერსონალური მონაცემები უნდა იყოს ზუსტი და, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა განახლდეს;

e) პერსონალური მონაცემები შენახულ უნდა იქნეს ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირების საშუალებას, არაუმეტეს იმ პერიოდის განმავლობაში, რაც აუცილებელია იმ მიზნის შესასრულებლად, რისთვისაც მოხდა აღნიშნულ მონაცემთა შეგროვება, ან რისთვისაც ხდება მათი შემდგომი დამუშავება;

f) როგორც გადამცემმა ორგანომ, ასევე მიმღებმა ორგანომ უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა საჭიროებისამებრ შესწორება, წაშლა ან ბლოკირება იმ შემთხვევაში, თუ დამუშავება არ ხორციელდება ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად, კერძოდ, თუ აღნიშნული მონაცემები არ არის ადეკვატური, შესაბამისი, ზუსტი, ან სცილდება იმ მიზანს, რისთვისაც ხდება მათი დამუშავება. აღნიშნული ითვალისწინებს მეორე ხელშემკვრელი მხარისთვის მონაცემთა ნებისმიერი შესწორების, წაშლის ან ბლოკირების შესახებ შეტყობინების გაგზავნას;

g) მოთხოვნის შემთხვევაში, მიმღებმა ორგანომ გადამცემ ორგანოს უნდა აცნობოს გადამცემული მონაცემების გამოყენების და მისგან მიღებული შედეგების შესახებ;

h) პერსონალური მონაცემები შეიძლება გადაეცეს მხოლოდ კომპეტენტურ ორგანოებს. სხვა ორგანოებისთვის მათი შემდგომი გადაცემა საჭიროებს გადამცემი ორგანოს წინასწარ თანხმობას;

i) გადამცემ და მიმღებ ორგანოებს ეკისრებათ პერსონალურ მონაცემთა გადამცემის და მიღების წერილობითი აღრიცხვის ვალდებულება.

ხარჯები

(1) რეადმისიასა და ტრანზიტთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა სახის სატრანსპორტო და ადმინისტრაციული ხარჯები მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის ან საბოლოო დანიშნულების ქვეყნის საზღვრამდე დაიფარება მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის მიერ.

(2) მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე ფაქტურის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში დაფარავს ხარჯებს მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოების საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

მუხლი 89

განხორციელებელი დებულებები

(1) წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხელმოწერის-თარიღიდან-30 დღის განმავლობაში ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს წინამდებარე შეთანხმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანოსა და მისი საკონტაქტო დეტალების შესახებ და უნდა მიაწოდონ ერთმანეთს შესვლისა და გასვლის იმ პუნქტების სია, რომელთა გავლითაც უნდა განხორციელდეს რეადმისია და ტრანზიტი.

(2) ხელშემკვრელმა მხარეებმა დიპლომატიური არხების მეშვეობით დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ერთმანეთს წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ.

(3) წინამდებარე შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები, კერძოდ:

- a) ინფორმაციის გაცვლისა და რეადმისიის განხორციელების პროცედურები;
- b) რეადმისიის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია;
- c) ხარჯების ანაზღაურების მეთოდები წინამდებარე შეთანხმების მე-7 მუხლის შესაბამისად;

მოცემულია წინამდებარე შეთანხმების ოქმში, რომელიც შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

(4) ოქმში შესატანი ცვლილებები უნდა შეთანხმდეს ხელშემკვრელ მხარეებს შორის.

(4)(5) წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განხორციელების მიზნით, ორგანიზებულ იქნება ექსპერტთა შეხვედრები ორივე ხელშემკვრელი მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ასეთი შეხვედრები ჩატარდება ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით.

მუხლი 9

ექსპერტთა შეხვედრები

~~წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განხორციელების მიზნით, ორგანიზებულ იქნება ექსპერტთა შეხვედრები ორივე ხელშემკვრელი მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ასეთი შეხვედრები ჩატარდება ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით.~~

მუხლი 10 დავების მოგვარება

(1) ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოები შეეცდებიან ამ შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა მოაგვარონ კონსულტაციების გზით.

(2) თუ ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ვერ შეძლებენ დავის მოგვარებას, ხელშემკვრელი მხარეები დავას გადაწყვეტენ დიპლომატიური არხების მეშვეობით, მოლაპარაკების გზით.

მუხლი 11 სხვა ვალდებულებები

წინამდებარე შეთანხმება გავლენას არ ახდენს ხელშემკვრელ მხარეთა სხვა ვალდებულებებზე, რომლებიც მათ ეკისრებათ საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, კერძოდ იმ ვალდებულებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხმებებით ადამიანის უფლებათა დაცვის, ლტოლვილთა იურიდიული სტატუსის, ასევე ექსტრადიციის, რეადმისიის ან ტრანზიტის შესახებ.

მუხლი 12 მოქმედების შეჩერება

თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს, მეორე ხელშემკვრელ მხარესთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეუჩეროს მოქმედება წინამდებარე შეთანხმების დებულებებს საზოგადოებრივი წესრიგისა და ჯანდაცვის ან უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. მოქმედების შეჩერების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება წერილობით მეორე ხელშემკვრელ მხარეს.

მუხლი 13 ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე შეთანხმებაში, ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც

გაფორმდება ცალკე ~~დოკუმენტის-ოქმის~~ სახით და ძალაში შევა ამ შეთანხმების მე-14 მუხლის შესაბამისად. აღნიშნული სახით მიღებული ~~დოკუმენტები-ოქმები~~ წარმოადგენენ ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 14

ძალაში შესვლა და მოქმედების შეწყვეტა

(1) წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელშემკვერელ მხარეთა მიერ ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან შემდგომი თვის პირველ დღეს.

(2) წინამდებარე შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით. თითოეულ ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია, ნებისმიერ დროს, შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმების მოქმედება, დიპლომატიური არხების მეშვეობით, მეორე ხელშემკვერელი მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. წინამდებარე შეთანხმება მოქმედებას შეწყვეტს ასეთი შეტყობინების მიღების დღიდან 6 თვის შემდეგ.

შესრულებულია ქ _____ 20__ წლის _____ ორ დედნად, თითოეული ქართულ, სომხურ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. წინამდებარე შეთანხმების განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს
სახელით

სომხეთის რესპუბლიკის
სახელით

ოქმი

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის
უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების
განხორციელების თაობაზე

1. შეთანხმების მე-2 მუხლის შესახებ:

1.1. მოქალაქეობა შეიძლება დადასტურებულ იქნას შემდეგი საბუთების წარდგენით:

- მოქმედი პირადობის მოწმობა;
- მოქმედი პასპორტი;

— მოქალაქეობის დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტები ~~და და სხვა მოქმედი ოფიციალური დოკუმენტები, რომლებშიც მკაფიოდ არის მითითებული მოქალაქეობა.~~

– აღნიშნული დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოები ცნობენ პირის მოქალაქეობას.

1.2. სავარაუდო მოქალაქეობა შეიძლება დადგინდეს შემდეგი დოკუმენტების, მათი ასლების ან სხვა ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ:

- 1.1. ქვეპუნქტში მოცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომლის მოქმედების ვადა ამოიწურა;
- 1.1 ქვეპუნქტში მითითებული ნებისმიერი დოკუმენტის ასლი;
- მართვის მოწმობები ან მათი ასლები;
- დაბადების მოწმობები ან მათი ასლები;
- კომპანიის საიდენტიფიკაციო ბარათები ან მათი ასლები;
- მოწმეთა ჩვენებები;
- მოცემული პირის მიერ მიცემული ჩვენებები და ენა, რომელზეც ის საუბრობს, მათ შორის ოფიციალურად ჩატარებული ტესტის მიხედვით;
- სამსახურებრივი ბარათები და სამხედრო ბილეთები;
- მეზღვაურის წიგნაკები და კაპიტნის სამსახურებრივი ბარათები;
- მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის მიერ გაცემული სახელმწიფოს საშვი (*Laissez-passer*);
- ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მოცემული პირის მოქალაქეობის დადგენას.

1.3. თუ პირს ესაჭიროება სამედიცინო დახმარება და ეს შედის მოცემული პირის ინტერესებში, ან, განსაკუთრებით, თუ ეს პირი საფრთხეს უქმნის მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის ჯანდაცვის ინტერესებს, მოთხოვნის წარმდგენმა ხელშემკვრელმა მხარემ აგრეთვე უნდა წარადგინოს ამ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერა, ნებისმიერი სამედიცინო ცნობების ასლებისა და სპეციალური მეურნეობის ჩატარების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით, მათ შორის ინფორმაცია სამედიცინო და სხვა დახმარების, მეთვალყურეობისა და სასწრაფო დახმარების მანქანით ტრანსპორტირების შესახებ.

1.4. თუ მოქალაქეობა არ დასტურდება ან არ ივარაუდება წარდგენილი დოკუმენტების ან მტკიცებულების საფუძველზე, მოთხოვნის მიმღებმა ხელშემკვრელმა მხარემ, მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, უნდა ჩაუტაროს გასაუბრება დასაბრუნებელ პირს რეადმისიის განაცხადის მიღებიდან 14 დღის განმავლობაში. მოთხოვნის მიმღებმა ხელშემკვრელმა მხარემ პასუხი უნდა გააგზავნოს რეადმისიის განაცხადის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. მოთხოვნის წარმდგენმა ხელშემკვრელმა მხარემ უნდა უზრუნველყოს გასაუბრებას დაქვემდებარებული პირების ტრანსპორტირება მოთხოვნის მიმღები

ხელშემკვრელი მხარის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში. ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმებით, გასაუბრება შეიძლება ჩატარდეს მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების შენობის გარეთ და ამ შემთხვევაში სატრანსპორტო ხარჯების დაფარვა უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის წარმდგენმა ხელშემკვრელმა მხარემ.

2. შეთანხმების მე-3 მუხლის შესახებ:

2.1. შეთანხმების მე-3 მუხლის თანახმად უცხოელთა რეადმისიის შესახებ ნებისმიერი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას რეადმისიას დაქვემდებარებული პირის შესახებ:

- სახელი და გვარი (საჭიროების შემთხვევაში, ქალიშვილობის გვარი);
- დაბადების თარიღი და ადგილი;
- მოქალაქეობა;
- ბოლო ცნობილი მისამართი, რომელზეც ცხოვრობდა მოცემული პირი მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
- პასპორტის ან სხვა სამგზავრო დოკუმენტის ტიპი, ნომერი, მოქმედების ვადა, ასევე დეტალები გამცემი ორგანოების შესახებ და სამგზავრო დოკუმენტის ასლი.

2.2. წინამდებარე ოქმის 1.2 ქვეპუნქტი გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მუდმივი ბინადრობის ადგილი ივარაუდება. ამ შემთხვევაში, პირი მიღებულ იქნება, თუ მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე მკაფიოდ გამოხატავს თანხმობას ამასთან დაკავშირებით. მოთხოვნის მიმღებმა ხელშემკვრელმა მხარემ განაცხადზე პასუხი უნდა გასცეს 30 დღის განმავლობაში.

3. შეთანხმების მე-7 მუხლის შესახებ:

~~შეთანხმების მე-7 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე ფაქტურის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში დაფარავს ხარჯებს მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოების საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.~~

Commented [at1]: Article 2 of subparagraph 2.2 does not correspond to the content of point 1.2, because at point 1.2 there is a notion of presumption of citizenship, in case when Article 3 is related to the availability of the valid visa or residence permit held by 3rd country nationals/aliens.

At the Article 1 of subparagraph 2.2 <permanent residence> notion is asked to clarify, because in Armenia permanent residence permit is issued for 5 years of validity (by legislation temporary residence permit is issued with the validity of 1 year and special residence permits is issued with the validity of 10 years).